

მსაზღვრელი სახელის შტამნება საზღვართან გაწევაში

(წითელი დროშის თუ წითელ დროშის?)

1. ძველ ქართულში მსაზღვრელი შეიძლება იყოს დასმული საზღვრულის წინა და შემდეგაც. ადრინდელ ძეგლებში მსაზღვრელი მეტწილად მოსდევდა საზღვრულს. ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი, უსწრებდა იგი საზღვრულს თუ მოსდევდა მას, იღებდა სრულ დაბოლოებას, ე. ი. ერთნაირად იბრუნებოდა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც.

სახ.	დიდი სიხარული	სიხარული დიდი	მთაჲ მაღალი
მოთხრ.	დიდმან სიხარულმან	სიხარულმან დიდმან	მთამან მაღალმან
მიცემ.	დიდსა სიხარულსა	სიხარულსა დიდსა	მთასა მაღალსა
მიმართ.	დიდად სიხარულად	სიხარულად დიდად	მთად მაღლად
ნათეს.	დიდისა სიხარულისა	სიხარულისა დიდისა	მთისა მაღლისა
მოქმედ.	დიდითა სიხარულითა	სიხარულითა დიდითა	მთითა მაღლითა
წოდებ.	დიდო სიხარულიო	სიხარულიო დიდო	მთაო მაღალიო

2. ახალ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნებისას ძველ ქართულთან შედარებით მას რიგი თავისებურებები ახასიათებს, სახელდობრ:

ა) თუ მსაზღვრელი ბოლოხმოვნია (ე. ი. ფუძის ბოლოკიდურად მოუდის ხმოვანი ა, ე, ო, უ) და უსწრებს საზღვრულს, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და რიცხვში (მრავლობით რიცხვში ნავარაუდევია -ებ ბოლოსართით ნაწარმოები საზღვრული); მაგ.:

მხოლოდობით რიცხვში

სახ.	რკინა კაცი	გამრჯე ქალი	ფართო ველი	ყრუ მოხუცი
მოთხრ.	რკინა კაცმა	გამრჯე ქალმა	ფართო ველმა	ყრუ მოხუცმა
მიცემ.	რკინა კაცს	გამრჯე ქალს	ფართო ველს	ყრუ მოხუცს
მიმართ.	რკინა კაცად	გამრჯე ქალად	ფართო ველად	ყრუ მოხუცად
ნათეს.	რკინა კაცის	გამრჯე ქალის	ფართო ველის	ყრუ მოხუცის
მოქმედ.	რკინა კაცით	გამრჯე ქალით	ფართო ველით	ყრუ მოხუცით
წოდებ.	რკინა კაციო	გამრჯე ქალიო	ფართო ველიო	ყრუ მოხუციო

მრავლობით რიცხვში

სახ.	რკინა კაცები	გამრჯე ქალები	ფართო ველები	ყრუ მოხუცები
მოთხრ.	რკინა კაცებმა	გამრჯე ქალებმა	ფართო ველებმა	ყრუ მოხუცებმა
მიცემ.	რკინა კაცებს	გამრჯე ქალებს	ფართო ველებს	ყრუ მოხუცებს
მიმართ.	რკინა კაცებად	გამრჯე ქალებად	ფართო ველებად	ყრუ მოხუცებად
ნათეს.	რკინა კაცების	გამრჯე ქალების	ფართო ველების	ყრუ მოხუცების
მოქმედ.	რკინა კაცებით	გამრჯე ქალებით	ფართო ველებით	ყრუ მოხუცებით
წოდებ.	რკინა კაცებო	გამრჯე ქალებო	ფართო ველებო	ყრუ მოხუცებო

შენიშვნა. ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა საკუთარ სახელებს მოსდევს გვარი, თანამდებობის ან პროფესიის გამომხატველი სიტყვა განურჩევლად იმისა, ბოლოთანხმოვნია თუ ბოლოხმოვნია ეს სახელები; მაგალითად:

სახ.	დავით დროიძე	გლახა კრიაშვილი	თამარ მეფე
მოთხრ.	დავით დროიძემ	გლახა კრიაშვილმა	თამარ მეფემ
მიცემ.	დავით დროიძეს	გლახა კრიაშვილს	თამარ მეფეს და სხვ.

ბ) თუ მსაზღვრელი ბოლოთანხმოვნია და წინ უსწრებს საზღვრულს, იგი იცვლება ყველა ბრუნვაში. ამ შემთხვევაში შეიძლება გვექნეს ოთხი სახეობა; სახელდობრ:

I. სრული, როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ოღონდ მიმართულებითში: აღებს მიცემითის ნიშანს, ხოლო მოქმედებითში — ნათესაობითისას;

II. გარდამავალი, როდესაც მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და მიმართულებითში, ხოლო ნაწილობრივ (თანხმოვნითი ელემენტი) მოკვეცილია ნათესაობითსა და მოქმედებითში;

III. მოკვეცილი, როდესაც სახელობითის, (ზოგჯერ) მოთხრობითისა და წოდებითის გარდა სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია, და

IV. ვულგარული, როცა ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმა გვაქვს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

I. სრული სახეობა		II. გარდამავალი სახეობა	
სახ.	დიდი საქმე	დიდი საქმე	
მოთხრ.	დიდმა საქმემ	დიდმა საქმემ	
მიცემ.	დიდს საქმეს	დიდ საქმეს	
მიმართ.	დიდს საქმედ	დიდ საქმედ	
ნათეს.	დიდის საქმის	დიდი საქმის	
მოქმედ.	დიდის საქმით	დიდი საქმით	
წოდებ.	დიდო საქმევ	დიდო საქმევ	

III. შეკვეცილი სახეობა IV. ვულგარული სახეობა

სახ.	დიდი საქმე	დიდი საქმე
მოთხრ.	დიდ(მა) საქმემ	დიდი საქმემ
მიცემ.	დიდ საქმეს	დიდი საქმეს
მიმართ.	დიდ საქმედ	დიდი საქმედ
ნათეს.	დიდ საქმის	დიდი საქმის
მოქმედ.	დიდ საქმით	დიდი საქმით
წოდებ.	დიდო საქმევ	დიდი საქმევ

შენიშვნა. მრავლობით რიცხვში -ებ ბოლოსართით ნაწარმოებ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია დასმული (საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება) და ბრუნვაში ისე იცვლება, როგორც მხოლოდობითში: დიდი საქმეები, დიდმა საქმეებმა, დიდ საქმეებს და სხვ.

3. ზემონაჩვენები ოთხი სახეობიდან ვულგარული სახეობა მხოლოდ ზოგ დასავლურ კილოში გვხვდება, ლიტერატურულ ენაში არ გავრცელებულა და, ამდენად, როგორც არალიტერატურული ფორმა, სავსებით უკუგდებულ უნდა იქნეს (იგულისხმება დიდი საქმემ, დიდი საქმეს, დიდი საქმედ და მისთ.; ასევე: მიცემითი ბრუნვას, მოქმედებითი ბრუნვაში და მისთ.).

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გარდამავალი სახეობა.

ძირითადი სახეობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ

ა) გარდამავალი სახეობა ყველა სახეობაზე უფრო გავრცელებულია დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და ცოცხალ მეტყველებაში;

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელები, როგორც მსაზღვრელები, მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (არ გვხვდება: ჩემ გზით, შენ სიტყვით; ბუნებრივია: ჩემი გზით, შენი სიტყვით და სხვ.);

გ) როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებითი ან მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული, აცილებულია მსაზღვრელთა შეკვეცილი სახით ხმარებისას მოსალოდნელი ორაზროვნება (მაგ.: დროებითი მთავრობის დადგენილება მოქმედებდა; შეადარეთ ამას: დროებით მთავრობის დადგენილება მოქმედებდა).

დ) ერთმარცვლიანი მსაზღვრელები ჩვეულებრივ მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (ერთი კაცის, ორი სახლის და სხვ.)

4. ამგვარად, ა) თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ბრუნებისას როგორც მხოლოდობით რიცხვში, ისე — ებ ბოლოსართიან მრავლობითში ძირითად ფორმებად უნდა მიჩნეულ იქნეს გარდამავალი სახეობა:

მხოლოდობითში

მრავლობითში

სახ.	წითელი დროშა	წითელი დროშები
მოთხრ.	წითელმა დროშამ	წითელმა დროშებმა
მიცემ.	წითელ დროშას	წითელ დროშებს
მიმართ.	წითელ დროშად	წითელ დროშებად
ნათეს.	წითელი დროშის	წითელი დროშების
მოქმედ.	წითელი დროშით	წითელი დროშებით
წოდებ.	წითელო დროშავ	წითელო დროშებო.

ბ) ძირითადი სახეობის გვერდით დასაშვებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრული სახეობა მიცემითსა და ნათესაობითში (დიდს საქმეს, დიდის საქმის), აგრეთვე მოქმედებითსა და მიმართულ ებითში (მოქმედებითში — ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო მიმართულებითში — მიცემითი ბრუნვის ფორმით: დიდის საქმით, დიდს საქმედ). ეს უკანასკნელი ფორმები განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებითი ან მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული (მაგ., მოქმედებითს ბრუნვაში, პირველადს პარტორგანიზაციას და სხვ.).

გ) თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ ერთადერთ ფორმად სრული სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული მიცემითსა და მიმართულებითში (ჩემს ამხანაგს, შენს ამხანაგს, ჩვენს ამხანაგს, თქვენს ამხანაგს, მათს ამხანაგს; ჩემს ამხანაგად, შენს ამხანაგად, ჩვენს ამხანაგად, თქვენს ამხანაგად, მათს ამხანაგად).

დ) თუ მსაზღვრელად პროფესიის აღმნიშვნელი სახელია, ძირითად ფორმად ბრუნვის ნიშანმოკვეცილი სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (გენერალ ჩანჩიბაძის, გენერალ ჩანჩიბაძით; პროფესორ მელიქიშვილის, პროფესორ მელიქიშვილით).

ე) თუ გვართან ერთად ბრუნებისას ადამიანის თანხმომავანფუძიანი სახელია ა და იგი წინ უსწრებს გვარს, არც ერთ ბრუნვაში არ შეიცვლება;

სახ.	გრიგოლ ორბელიანი
მოთხრ.	გრიგოლ ორბელიანმა
მიცემ.	გრიგოლ ორბელიანს
მიმართ.	გრიგოლ ორბელიანად
ნათეს.	გრიგოლ ორბელიანის
მოქმედ.	გრიგოლ ორბელიანით
წოდებ.	გრიგოლ ორბელიანო

3) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იშვიათია შემთხვევები, რომ ადამიანის საკუთარი სახელი მოსდევდეს გვარს. თუ მოსდევს, ორივეს უნდა ერთოდეს ბრუნვის ნიშნები მთლიანად (ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის სახელს მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში).

სახ.	ორბელიანი გრიგოლ
მოთხრ.	ორბელიანმა გრიგოლმა
მიცემ.	ორბელიანს გრიგოლს
მიმართ.	(არ გვხვდება)
ნათეს.	ორბელიანის გრიგოლის
მოქმედ.	(არ გვხვდება)
წოდებ.	ორბელიანო გრიგოლ

ზ) გათიშულ მსაზღვრელს, მიუხედავად იმისა, ხმომავანფუძიანია იგი თუ თანხმომავანფუძიანი, ბრუნვის ნიშნები ყოველთვის სრულად უნდა დაერთოს.

„ქრელს ჩავიციომდი კაბასა“ — (ვაჟა).

„მწვანეს ეწვდება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი“ — (ვაჟა).

თ) სიების შედგენისას, როცა ჩვეულებრივ ჯერ გვარი იწერება და შემდეგ სახელი, სახელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

აბაშიძე ვახტანგ
 ბერიძე გურამ
 გაბუნია თამაზ
 დიასამიძე ქეთევან
 ერისთავი თენგიზ
 ვარდოსანიძე მარიამ
 ზვიადაძე ნოდარ
 თარგამაძე იოსებ და ა. შ.